# კონტრაქტი წევრობის შესახებ

**2026 წ.**

# განაცხადის ფორმა

სახელი, გვარი: ______________________

პირადი N ______________________

მობილური ტელეფონი: ______________________

ელ-ფოსტა ______________________

**კლუბის წესები**

**მოგესალმებით! შპს „Synergyს“ (ს.ნ. XXXXXXXXX) კლუბის წევრად მიღების შესახებ განაცხადის ხელმოწერამდე, გთხოვთ გაეცნოთ შემდეგ წესებს:**

1. **შესავალი**. ამ კონტრაქტის ხელმოწერით, კლუბის წევრი თანხმობას აცხადებს დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე წესები და პირობები.

2. **წევრის ჯანმრთელობის გარანტია**. კლუბის წევრი გარანტიას იძლევა და აცხადებს, რომ ის არ არის შეზღუდული შესაძლებლობების, არ არის ავად და იმ მდგომარეობაში, რომელიც მას ხელს შეუშლის ვარჯიშების შესრულებაში და რომ ასეთი მოქმედება არ მიაყენებს ზიანს და არ მოახდენს უარყოფით ზემოქმედებას მის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე ან ფიზიკურ მდგომარეობაზე. კლუბის წევრისთვის ცნობილია და ის თანახმაა, რომ:

2.1. კლუბის წევრის მიღებისას, შპს „Synergy“ დაეყრდნობა წევრის ზემოთ აღნიშნულ განცხადებას და გარანტიას და არ არის ვალდებული განახორციელოს რაიმე სახის ფიზიკური ფორმის შეფასება, ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრისთვის.

2.2. თუ შპს „Synergy“ თუ ჩაატარებს რაიმე სახის შეფასებას ან სხვა მსგავს ტესტირებას, ეს განხორციელებულ იქნება მხოლოდ მონაცემების შედარებისთვის, რათა კლუბის წევრმა შეძლოს თვალი მიადევნოს საკუთარ წინსვლას და არა დიაგნოსტირების მიზნებისთვის.

2.3. შპს „Synergyს“ არ შეიძლება წაეყენოს რაიმე მოთხოვნები, საჩივარი ან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა, ფიზიკური ფორმის შეფასების ან ანალოგიური ტესტირების შედეგების ან მათი ინტერპრეტაციის გამო.

2.4.. შპს „Synergy“ არ აგებს პასუხს რაიმე ზიანის გამო, რომელიც განპირობებულია კლუბის წევრის რაიმე სახის ავადმყოფობით ან მდგომარეობით, რომელზეც ვარჯიშებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე ან ფიზიკურ მდგომარეობაზე, თუ ის შეასრულებს ასეთ სავარჯიშოებს ან მონაწილეობას მიიღებს მათში. თითოეულმა კლუბის წევრმა უნდა გაიაროს კონსულტაცია ექიმთან, ვარჯიშის დაწყებამდე ან მათ გაგრძელებამდე, თუ არსებობს ამის სამედიცინო ჩვენებები.

2.5. შპს „Synergy“ პასუხს არ აგებს წევრის მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია სპორტული კვების ან საკვები დანამატების გამოყენებით. წევრი კისრულობს ვალდებულებას გაიაროს კონსულტაციები ექიმთან საკვები დანამატების გამოყენებამდე.

3. **კლუბის წევრების დაშვება**. კლუბის წევრებზე გაიცემა დაშვებისათვის ბარათი ან დამატებით QR კოდი, რომლებიც საშუალებას მისცემს წევრებს შევიდნენ შპს „Synergyს“ ტერიტორიაზე და ისარგებლონ აღჭურვილობით. კლუბის წევრი თანახმაა, არ მისცეს სხვა პირებს შენობებში თავისი ბარათის ან QR კოდის მეშვეობით შესვლის ნება და არ დაუშვას, რომ მასთან ერთად სხვა პირი შევიდეს შენობაში. თუ კლუბის წევრი დაარღვევს წევრების დაშვების რაიმე პირობებს, მას შეიძლება გაუუქმდეს წევრობა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ. ბარათის შეცვლის ღირებულება განისაზღვრება მიმდინარე ფიქსირებული ტარიფის შესაბამისად. შპს „Synergyს“ კლუბის წევრად გახდომისას პირს შეიძლება გადაუღონ ფოტო, რომელიც უსაფრთხოების მიზნებისთვის და მონიტორინგისთვის გამოიყენება.

4. **აღჭურვილობის გამოყენება**. ჩვენ ვთხოვთ კლუბის წევრებს ვარჯიშის დასრულების შემდეგ ადგილზე დააბრუნონ გირები და სხვა ნებისმიერი სავარჯიშო აღჭურვილობა (ფილები, ხარიხები, ჰანტელები, და ა შ.).

5. **კარადები**. კარადები ხელმისაწვდომია და განთავსებულია გასახდელებში. წევრი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს წევრის პირად ნივთებს. შპს „Synergyს" თანამშრომლები და კონტრაქტორები პასუხს არ აგებენ პირადი ნივთების დაკარგვისთვის. კარადები არ წარმოადგენს მოწყობილობებს უსაფრთხოდ

შენახვისთვის. შესაბამისად, წევრი ვალდებულია კლუბის მომსახურებით სარგებლობისას თან იქონიოს ყველა ფასეული ნივთი. წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „Synergy“ პასუხს არ აგებს ასეთი ნივთების დაკარგვაზე ან/და დაზიანებაზე.

6. **პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით წევრი თანხმობას აცხადებს, რომ შპს „Synergyმა" (ს/ნ XXXXXXXXX) მისი პირადი მონაცემები, კერძოდ სახელი (სახელები), მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი დაამუშაოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის და აღნიშნულ მონაცემებზე გაუგზავნოს და მიაწოდოს ინფორმაცია შპს „Synergy-ში" (ს/ნ XXXXXXXXX) არსებული, დაგეგმილი ან/და სამომავლო შეთავაზებების, რეკლამების, ფასდაკლებების, აქციებისა და ღონისძიებების შესახებ. ასევე საინფორმაციო შინაარსის შეტყობინების გაგზავნის მიზნით.

6.2. წევრისთვის ცნობილია, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია უარი განაცხადოს და უკან გამოითხოვოს წინამდებარე დოკუმენტით გაცხადებული თანხმობა მისი პირადი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებასთან დაკავშირებით და აღნიშნული უარი შეუძლია განაცხადოს წერილობითი ფორმით, შპს „Synergyსათვის“ (ს/ნ XXXXXXXXX) აღნიშნულის შესახებ იმავე კომუნიკაციის საშუალებით, რა საშუალებითაც მიიღებს ინფორმაციას.

7. **წევრთა უფლებები**. შპს „Synergyს" კლუბის წევრობა წევრს უფლებას აძლევს ივარჯიშოს შეძენილი აბონიმენტით განსაზღვრული ვადით და პირობით.

8. **წევრის ვალდებულებები**. შპს „Synergyს" კლუბის წევრს მოეთხოვება:

8.1. დაიცვას კლუბის ყველა წესი და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

8.2. გადაიხადოს ყველა შეთანხმებული საფასური;

8.3. წინასწარ აცნობოს შპს „Synergyს" თუ არსებობს რაიმე სახის დაავადება ან რისკი, კლუბის წევრის ჯანმრთელობისთვის.

9. **აკრძალული მოქმედებები**. შენობაში აკრძალულია მოწევა, ალკოჰოლის მიღება და ნარკოტიკების (მათ შორის სტეროიდების) მოხმარება, დაუშვებელია რაიმე სახის იარაღის შეტანა. კლუბის წევრი თანახმაა არ განახორციელოს რაიმე მოქმედებები შპს „Synergyს" შენობაში, ისეთი ნივთიერებების ზემოქმედების დროს, რომლებსაც შეუძლია დააქვეითოს მისი უნარი, მართოს აღჭურვილობა.

10. **შეწყვეტა**. კლუბის წევრობა შეიძლება შეწყდეს ვადამდე, წევრის ხანგრძლივი ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო. შპს „Synergy“ უფლებას იტოვებს შეწყვიტოს წევრის კონტრაქტი, შემდეგი პირობების შესაბამისად:

10.1. წევრის შეუსაბამობა წესებში ან/და ხელშეკრულებაში მითითებულ რომელიმე კრიტერიუმთან;

10.2. კლუბის წევრის ან მისი თანამშრომლების (ან კონტრაქტორების) საჩივრის საფუძველზე.

11. **პასუხისმგებლობა**. შპს „Synergy" არ აგებს პასუხს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე.

12. **ეგზემპლარები**. კონტრაქტი შეიძლება გაფორმდეს ორ ან მეტ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ორიგინალად უნდა ჩაითვალოს, ყველა ეგზემპლარი, ერთად, წარმოადგენს ერთსა და იმავე შეთანხმებას.

13.**მარეგულირებელი კანონმდებლობა**. ხელშეკრულება და ყველა მითითებული დოკუმენტები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. **ვადასტურებ, რომ წავიკითხე კონტრაქტი, ჩემთვის გასაგებია ყველა პირობა და ვეთანხმები მათ. ასევე, ვადასტურებ, რომ გადმომეცა წევრის კონტრაქტის სრულად გაფორმებული ეგზემპლარი.**

**კლუბის წევრის ხელმოწერა**

**სახელი/გვარი**

______________________

**შპს „Synergyს“ (ს.ნ. XXXXXXXXX) უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა**

**სახელი/გვარი**

**ტელ. +995-XXX-XXX-XXX**

# Contract about Membership

**2026 Y.**

# Application Form

Name, Surname: ____________________
Personal N ____________________
Mobile number ____________________
E-mail: ____________________

**Rules of the club:**

**Welcome! Before signing the application for membership in the club of 'Synergy' LLC (S.N. XXXXXXXXX), please read the following rules:**

1. **Introduction.** By signing this contract, the member of the club expresses the consent to comply with and execute the present rules and terms.

2.

The health guarantee of the member.

The member of the club guarantees and declares, that he is not the disabled person, is not sick and in such condition, which will prevent him to execute the exercises and that such action will not cause damage and will not have the negative impact on his health, safety or physical condition. The member of the club is aware and is agreed, that:

2.1. When receiving the member of the club, “Synergy” LLC will rely the above mentioned application and guarantee and is not obliged to perform estimation of any type of the physical fitness, in order to determine the physical condition.

2.2. If “Synergy” LLC carry out any type of estimation or other same type testing, this will be implemented only for comparison of the data, So that the club member can track their own progress, not for diagnostic purposes.

2.3. No claims, complaints or damages may be brought against “Synergy” LLC due to the results of a physical fitness assessment or similar testing or their interpretation.

2.4. 'Synergy' LLC is not responsible for any damage caused by any illness or condition of a club member, the training of which may negatively affect his health, safety or physical condition, if he executes such exercises or participates in them. Each club member should have consultations with a doctor, before starting the exercises or before continuing of them, if there are its medical indications.

2.5. 'Synergy' LLC is not responsible for the condition of the member, which is caused from sport feeding or using the dietary supplements. The member undertakes the obligation to consult with doctors before using the dietary supplements.

3.

Admission of club members.

The special access cards or additional QR code will be issued for the club members in order to admit them at the territory of “Synergy” LLC and use by equipment. The member of the club is agreed, not to give the permit to other persons though his own access card or QR code to access the building and not to allow to enter the other persons with him the building. If the member of the club breaches any condition of members access, his membership may be annulled, without any compensation and criminal case may be initiated against him. The cost of changing the card is determined according to the current fixed tariff. After being the member of the club of “Synergy” LLC the person may be taken a photo, which will be used for the purposed of safety and monitoring.

4.

Usage of equipment.

We ask the member of the club after ending of the exercise to return the kettlebells and any other exercise equipment (plates, bars, dumbbells, etc.).

5.

Lockers.

Lockers are available and located in the changing rooms. The member is obliged to pay attention to the member's personal belongings. Employees and contractors of "Synergy" LLC are not responsible for the loss of personal belongings. Lockers are not devices for safe storage. Accordingly, the member is obliged to bring all

valuables with him when using the club's services. Otherwise, "Synergy" LLC is not responsible for the loss and/or damage of such items.

6. **Consent to the processing of personal data for direct marketing purposes**

6.1. By signing this Contract, the Member agrees that "Synergy" LLC (Identification No. XXXXXXXXX) may process his personal data, namely name(s), address, telephone number, e-mail address, for direct marketing purposes and to send and provide information on the above data about existing, planned and/or future offers, advertisements, discounts, promotions and events of "Synergy" LLC (Identification No. XXXXXXXXX). Also for the purpose of sending informational messages.

6.2. The Member is aware that at any time he may refuse and withdraw the consent expressed in this document regarding the processing of his personal data for direct marketing purposes and may express this refusal in writing to Synergy LLC (Identification No. XXXXXXXXX) via the same communication channel through which he receives the information.

7.

Member Rights.

Membership in the "Synergy" LLC club entitles the member to exercise for the period and under the conditions specified in the purchased subscription.

8.

Member Obligations.

A member of the "Synergy" LLC club is required to:

8.1. to comply with all club rules and the terms of this Contract;

8.2. to pay all agreed fees;

8.3. to inform "Synergy" LLC in advance if there is any type of illness or risk to the health of the club member.

9. **Prohibited Activities**. Smoking, alcohol consumption, and drug use (including steroids) are prohibited in the building, and it is not permitted to bring any type of weapon into the building. The member of the club agrees not to perform any activities in the premises of 'Synergy' LLC while under the influence of substances that may impair his ability to operate equipment.

10. **Termination**. Club membership may be terminated early due to a member's prolonged illness or physical condition. “Synergy” LLC reserves the right to terminate a member's contract in accordance with the following conditions:

10.1. Non-compliance of the member with any of the criteria specified in the Rules and/or contract;

10.2. Based on a complaint from a club member or its employees (or contractors).

11. **Responsibility**. 'Synergy' LLC is not responsible for failure to fulfill the terms of the contract due to reasons beyond its control

12. **Copies**. A contract may be executed in two or more counterparts, each of which shall be deemed as an original, all counterparts, together constituting one and the same agreement.

13.**Governing Law**. The Contract and all specified documents are governed by the legislation of Georgia. I confirm that I have read the contract, understand all the terms and conditions, and agree to them. I also confirm that I have been given a fully executed copy of the member contract.

**Signature of the club member**

**Name/Surname**

____________________

**Signature of the authorized representative of 'Synergy' LLC (Identification No. XXXXXXXXX)**

**Name/Surname**

**tel: +995-XXX-XXX-XXX**